

4
1966

ქართული
ბიბლიოთეკა



იღიღე, საფშოგლოვ, იღიღე

გუმბარაჲ ჴღვის კიღე,
ციხ კიღე!
ოგია, ღელვა თუ სიფშვიღე,
იღიღე, იღიღე, იღიღე!
იგროღე, სჴეღავღე თუ გიღე —
ფინაგრეგს ჴბაჴავღე სიგვიღეღე.
ღელაო ჴართლისავ, გიგროთ ჴრღიღე —
იღიღე, იღიღე, იღიღე!
გრავალფელს მუხანათს შიფს ჴგვიღეღე,
იგრავღე, იცოცხღე, იგაკვიღეღე!
ჩანგებგი გულისკენ მიჴიღე,
იღიღე,
საფშოგლოვ,
იღიღე!

გალაჴტიონი



№ 2 (1228) თბილისი, იანვარი 1966

სიქნუ

გამოცემის 48-ე წელი, ფასი 20 ჴაჴ.

დღე — ოთხშაბათი.

რიცხვი — 80.

თვე — ივნისი.

წელი — სამწუხაროდ, 1965.

წარმართულ-აბსტრაქტული პროცესია სათავეს ადებს გალის რაიონის სოფელ დინაზურგაში. პროცესია-სანახაობის ცენტრალური ფიგურაა დინაზურგელი ძიგლი გვაგვალის ქალიშვილი, 15 წლის იამზე. იამზეს თეთრი კაბა აცვია და დაისის მეწამული ნიუანსებით აფერადებულ ღრუბლებს შეჰყურებს. აქეთ- იქიდან ძმები კვირკველები ამოსდგომიან, უკან კი ზღვა ხალხი მოსდევთ: დინაზურგელები, ჭუბურხინკელები, ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები... პროცესია ენგურისკენ მიემართება...

იამზე მიდის და ვერც მიდის, მუხლები ეკეცება.

იამზეს ჩონგური უჭირავს ხელში, მარამ ვერ უკრავს.

იამზე პირდაპირ მამალმერთთან საუბრობს...

ენგურამდე შვიდი კილომეტრია...

მიამბობს იამზე და გუშინდელ ამბებზე ფიქრობს. გუშინ მამია კვირკველია დაკრძალეს, კარის მეზობელი, ენგურში რომ დაიხრჩო. მამია არავის დაუხრჩვია. „სიკვდილის მიზეზი ასფიქსია-დახრჩობაა“ — ეწერა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში.

ის კი არავინ იცოდა, რომ დაკრძალვის დღეს გარდაცვლილის ერთ-ერთ მახლობელს მიქელ-გაბრიელი გამოეცხადა და უთხრა:

„მამია მოჰკლეს“.

„ვინ მოჰკლა?“ — ჰკითხა იმ მახლობელმა. მიქელ-გაბრიელი მეტყველად გაჩუმდა და გაქრა.

ის მახლობელი არ დაიბნა, მიიძია-მოიძია საკუთარ მეხსიერებაში და აპოლონ გოგონის გამომეტყველება არ მოეწონა, არც ადრე მოსწონდა.

მერე ნათესავ-მახლობლების ხანმოკლე კონსილიუმი მოიწვია და...

ენგურის პირას ადამიანები შეკრებილან და მამალმერთს „ჭეშმარიტება“ უნდათ გამოსტყუონ უსინდისოდ.

მედიუმი პატარა იამზე. იგი შედის წყალში, ცისკენ იმზირება და ღუმს. ღუმს, მაგრამ ყველა „გრძობს“, რა ცხარე დიალოგი აქვს უფაღთან. იამზეს ნორჩ სხეულში გარდაცვლილის სული „ჩასახლდა“.

„შენ ხარ მამია კვირკველია! იამზე კი არა, მამია!“ — ჩასჩინებებს მამაშვიტყერი იამზეს.

„მე მოვკვდი, თუ მომკლეს?“ — მამიატად ეკითხება იამზე-მამია.

„მოგკლეს, მოგკლეს!“



„მე მომკლა აპოლონ გოგონაი!“ — ლაღაღებს გულაღმა დაწოლილი, თეთრ-სულარაგადაფარებული იამზე-მამია...

„ხოვ ხედავთ!“ — ზეიმობენ ჭირისუფლები; მათ ხმას ახშობს სანახაობის დანატრულ ცნობისმოყვარეთა ღრიანცელი. კომედია-ინტერვიუ „სულთან“ დაიწყო:

„დამიძახეთ ჭიქიას!“ — მოითხოვს გარდაცვლილის „სული“.

დაუძახეს.

„ბიჭო, ხომ ხარ შენ ჩემი მამაშვიტყე?“

ჰკითხა „სული“.

„კი“.

„ხომ ვჭამეთ ერთად 21 ივნისს სადილი მე და შენ?“

„კი, ბიჭო, ვჭამეთ!“ — ცრემლები მოერია ჭიქიას.

„ხომ გადავიხადეთ ფული და გამოვედით გარეთ? ხომ ნახე მე და აპოლონი ერთად რომ წავედით? რის გეშინია, თქვი, ბიჭო!“

ჭიქია აკანკალდა:

„ბიჭო, მამია, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რაც არ მინახავს, როგორ ვთქვა. ცოლ-შვილს გეფიცები, გოგონია არ მინახავს“.

„დამიძახეთ მეზუფეტეს!“ — გაანჩხლდა „სული“.

„კაცო, შენ მაინც ხომ გახსოვს, მე და ჭიქიამ ერთად რომ ვჭამეთ პური?“

„კი, მახსოვს!“ — უპასუხა მეზუფეტემ.

„აბა, ისიც გეხსოვება, ერთად რომ გამოვედით გარეთ და მერე გოგონაი რომ განზე გამიყვანა, ა, ხომ გახსოვს, თქვი!“

ატარდა მეზუფეტე:

„შვილო, მამია, ნუ დამდებ ცოდვას კისერზე, როგორ ვთქვა, რაც არ მინახავს, შვილებს ვფიცავ, შვილიშვილებს ვფიცავ!“

„სული“ გაანჩხლდა, გამწარდა და იამზეს სხეული დასტოვა.

თვალი გაახილა იამზემ და ჭირისუფლებს შეხედა თვლებში. კმაყოფილი იყვნენ ჭირისუფლები, კმაყოფილი იყვნენ ირგვლივ მოჭარული ცნობისმოყვარენი.

ყოველი მათგანი ფიქრობდა „სულთან“ ახლახან დამთავრებულ ინტერვიუზე და არცერთი მათგანი არ ფიქრობდა იამზე, ვინ მოაწყო ეს კომედია.

ჯავრია მწუხრიანული

ნახ. 8. ფირცხალაპასი



— ტყუილად მემალევი, ძვესკანელი რომ ჩახვიდე, იმაც ჩამოგაპავი!

ჯავრია მწუხრიანული

გიამ „თორიული მექანიკის“ წიგნი უიმედოდ დახურა. — არა, ამას რა მასწავლის, უნდა ჩავაწყო!

— მამა, გაბუნიას ხომ არ იცნობ? — გასძახა განუთებში ჩაფლულ მამამისს.

— ივანიჩს?

— ჰო, აი, ის ლექტორი რა!

— ვინა, ბიჭო, ივანიჩი? რას ამბობ, თავის ოფიციატებს თუ წაუკითხავს გინების ლექციას, — ასარხარდა გიას მამა.

გია ჩაფიქრდა, მაინც რა ჰქვია „თორიული მექანიკის“ ლექტორს. ამხანავს ტელეფონით ესაუბრა, გაიგო ლექტორის სახელი.

— მამა, გიორგი გაბუნიას თუ იცნობ?

— მაგი ვინდა?

— ჩემი ლექტორია.

— საგანი გაქვს ჩასაბარებელი? — აკანკალეული სმით ჰკითხა გიას მამამ.

— ჰო, — თავი მოისაწყლა გიამ.

მეორე დღეს გია და მამამისი ივანიჩს ეახლნენ, წერილი დააწერინეს: „მოუსმინე, კოლია, ამ ჩემს ნათესავს“. კოლია გაბუნია მოუსმინა და წერილით გამოისტუმრა: „მოუსმინე, ვანო, ჩემს ნათესავს“. ვანომ მოუსმინა: „მოუსმინე, გიორგი ბატონო, ამ ჩემს ნათესავს“.

ლექტორმა მოუსმინა და საგამოდლო ფურცელში ორიანი გაუფორმა.

ა. ადვიშვილი



— მაიკო, მე როგორ გაგჩნდი? —
მიიღებინა ერთხელ მამასთან პატარა გი-
ამ.

— გიყიდე, შვილო...
ჩვენ, უფროსები, მიჩვეული ვართ ბა-
გვის რთული შევითვისებამ ან იოლი
ხერხით თავის დაძვინებას. მეგვიდრეუბიც
ხშირად სულგრძელად გვაპატიებენ ხო-
ლმე უწყინარ სიცრუეს და მერე ხიხინი-
თით უყვებიან ამხანაგებს: მამაჩემმა
არ იცის, ბავშვები როგორ ჩნდებიანო.

ეჰ, ბავშვებო, ბავშვებო! რომ იცოდეთ,
რა ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან აქვსე-
ნტი, როდესაც შვილს უთხრა, გიყი-
დეო...

...ცოლს შეტევილი დამის ორ საათზე
დაეწყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ წითელკანი-
ანმა მანქანამ სამშობიარო სახლისაკენ
გააქანა აქვსენტი და მისი მუღღი.

— ახლავე საოპერაციოში! — წამოხტა
რეგისტრატორი.

— ეგ ექიმი არ მიუშვა. ა, განზე რომ
დგას, ის ოქროს ხელის პატრონია. —
წასჩურჩულა აქვსენტის ექთანმა.

ძვირფასი ცნობისათვის მადლობა მან-
თიანმა გადაიხადა.

— ექიმო, შენი ჭირიმი, შენს მეტს
ვერავის მივაკარებ! — შევედრა მომავა-
ლი მამა განზე მდგომ ექიმს.

ექიმმა სიამოვნებით ჩაიღიმა და
მშობიარეს მიაშურა.

საოპერაციოდან გამოსულ ექიმს პალ-
ტოს ჯიბეში მუცელგაბერილი, ცისფერი
კონვერტი დასვდა.

— ბიჭი გყავს, ბიჭი! — შეჰყვირა
სანიტარმა და ბედნიერ მამას ბანჯგული-
ანი ხელით სწავდა ყურში: მერე კი
მზესუმზირას მთხვევლებმა რომ იციან,
სწორედ ისე გაუვირა ხელი.

კიდევ ბევრს ეროგ იმ დილაადრიან
სამმანეთიანი.

— ოო, ბიჭის მამას! — შევეებნენ
სამსახურში გამოჩენილ ყურებდაგრძე-
ლებულ აქვსენტის. მან მხიარულად გაი-
ღიმა და პირდაპირ ურთიერთდამხმარე
სალაროს მიაშურა.

რესტორანში დიდის ამბით აღინიშნა
პატარა გიამს ამ ქვეყნად მოსვლა. სალა-
მოს კი ნაბახუსევმა აქვსენტიმ მიგვიდ-
რის სანახავად გასწვია.

— არ შეიძლება! — გადაუდგა წინ
დარაჯი.

— ვერ მიცანი? მე ხომ ისა ვარ, წუ-
ხელ ბიჭი რომ შემეძინა. — გაუღიმა
ბიჭის მამამ.

— როგორ არა, გიცანიო, — უპასუხა
დარაჯმა და მანეთიანს მართლაც ძველი
ნაცნობივით გაუწოდა ხელი...

— პალატაში შესვლა არ შეიძლება!
— მკაცრად განაცხადა ექთანმა.

— არ შეიძლება, ხომ? — გაიცინა
აქვსენტი და ჯიბეზე იკრა ხელი...

— უიმე, მიგყავთ უკვე? — შემოეხვი-
ვნენ ბედნიერ მშობლებს ექიმები, ექთანები
და მომვლელები, — გაგიზარდით, გიბე-
დნიერთო...

— გმადლობთ, თქვენი ჭირიმი. —
იკრიჭებოდა აქვსენტი და პაპიროსის ნა-
მწვავებით ისროდა აქეთ-იქით სამ და
ხუთმანეთიანებს...

ბიჭის ოჯახში მოყვანის აღსანიშნავი
ზეიმისათვის აქვსენტიმ ვიღაც ნაცნობის
ნაცნობისაგან კიდევ ორასი მანეთი ისეს-
ხა.

— მაიკო, მე როგორ გაგჩნდი? —
მიიღებინა ერთხელ მამასთან პატარა გიამ.

— გიყიდე, შვილო... — გულახდილად
აღიარა სიმართლე აქვსენტიმ.

თ. ჰვანავა



ნ.ბ. შ. შირაზლანბანი

თქვა რასლი არაა:

ქართული
ბიბლიოთეკა

თვალთახევა

საქორწილო სუფრა მზად იყო. არ ჩა-
ნდა მხოლოდ პატარალო. ნაადრევად
მოსულ სტუმრებს ხან სუფრისკენ გაურ-
ბოდით თვალი და ხან — ეზოსკენ.

აი, გამონდა ისიც. ფეხარეულ ხელის-
მომკიდეს ხელკავით მოყავდა. ხელის-
მომკიდისთვის კიდევ სხვას მოჰკიდა ხე-
ლი და მოდიოდნენ ასე გაბმულად.

ცნობისმოყვარე სტუმრები ლოჯიას
ეცნენ.

— დედა, რა ლამაზია! — თქვა პირ-
ველმა.

— დედა, რა უშნოა! — თქვა მეორემ.

— რა ჩამოთლილი პროფილი აქვს!
— თქვა პირველმა.

— ისე დაუმშვენდა წაწვეტებული
ცხვირი! — თქვა მეორემ.

— შევლივით არ მოაბიჯებს?! —
თქვა პირველმა.

— ჯოჯოსავით მოათრევს ფეხებს! —
თქვა მეორემ.

— ხაში! — თქვა პირველმა.

— სვლოო! — თქვა მეორემ.

ამასობაში პატარალოც ამოიყვანეს.
იგი არც ისე მაღალი და ლამაზი იყო,
როგორც პირველს ეგონა, მაგრამ არც
იმდენად დაბალი და მახინჯი, მეორეს
რომ ეჩვენა. იგი სულ სხვანაირი იყო.

საქმე ისაა, რომ ფანჯარაში, საიდანაც
პატარალოს უცქერდნენ, „თბილადმრეწ-
ველფაბრიკის“ ნახელავი შუშა იყო ჩას-
მული.

საზღვარი სურვილისა

იყო ერთი ცოლ-ქმარი. კაცს ისმაილა
ერქვა, ქალს — ზაიდა. ცხოვრობდნენ
ერთ დაბალ ტერეკეშ ტბილად. გული
იმაზე წყდებოდათ მხოლოდ, შვილი რომ
არ უჩნდებოდათ. ეს ცოტა მათი ბრალიც
იყო: გვიან მოაფიქრდით. რა არ ილო-
ნეს: წყალტუბოთ, შინაური წამლებით.

არაფერმა არ გაჭრა. მაშინ დაახეთქა ის-
მაილამ ქუდი ძირს და ღმერთს შევე-
დრა: „ღმერთო ძლიერო! მომსხენი ეს
მძიმე ტვირთი. ნუ მომჭირი ქვეყანაზე
თავს. ხომ იცი, ჩემს ახლობლებში ექვს
შვილზე ნაკლები არავისა ჰყავს. მაჩუქე
ამ სიბერისას ერთი ბავშვი. თუ გინდა,
როგორც ზღაპრებშია, ისე“.

ღმერთს შევეცოდა და არუქა შეექვსე
შვილი. ჰო, მართლა, ისმაილას ხუთი
ქალ-ვაჟი უკვე ჩამწვრივებული ჰყავდა.
ეს შეექვსეზე ჰქონდა ლაპარაკი.


იგი ხელათ რაისაბუტოში გაქანდა ოთხ-
თათხიანი ბინისათვის.

მიჯაზი

ერთი კაცი მეტად ჯიუტი ბუნებისა
იყო: ახალი წლისთვის დაუმთავრებელს
არაფერს დატოვებდა. საქმეები კი,
იცოცხლე, ბლომად ჰქონდა წამოწყებუ-
ლი. რომანი რედაქტორთან და რომანი
თანამშრომელ ქალთან, ძველი ზინისა და
ცოლის გამოცვლა, უფროსის დაბადების
დღის აღნიშვნა და სხვ. ერთი სიტყვით,
ყოველ 31 დეკემბერს, ზუსტად 12 საათ-
ზე, იგი ოდნავ დალილი, მაგრამ ვალ-
მობილი, ღიმილით ხვდებოდა ახალ
წელს.

რა თქმა უნდა, საქმეები წელსაც ჰქო-
ნდა. ჩვეული დაჟინებითაც ეკვეთა მათ.
მაგრამ რა ხდება? მას არ ყოფნის დღე,
ერთადერთი სამუშაო დღე! ტრადიცია
დაირღვა. იგი გულსტკივილით შეუდგა
მიჯნულთა ძიებას. და უცებ გაახსენდა:
დღე, რომელიც მას ასე სჭირდება, არც
არსებობდა კალენდარში. ახლა ხომ ნაკი-
ნი წელი იყო.

პარი პარალი



— რამ გაამელოტა ასე ახალგაზრდა კაცი?
— რაც გაბას დირექტორი თავში ხელს უხვამს, აბა, რა
გოუშავ!



ნ.ბ. შ. შირაზლანბანი

— რად გინდა ამდენი „ვეფხისტყაოსანი“, ბიბლიოთეკის-
თვის მიგატყვს?
— არა, ჭალეზვილივი გყავს გასათხოვარი და გირთმევი
გინდა გავატანო.




ვახ. ჯ. ლულუაშვილი

თავსა და ბიჭობით, ვა სალარობაზედაც უფრო ადრით: — კაცო, კაცობა თუ ფურცლებზედაც გააბნეოთ!



ბაგოთ არ ამბობს კაცობა? — ბოროტი, ბაგოტი, თაყუას ბაგოტი! — თაყუას თუ ბაგოტი, ბაგოტი უფასო ბაგოტივარაო, შე აბაგო!



— მადრონი არა ბაგოტი, რომელ ბიჭო ბიჭობით!

ვახ. ჯ. ლულუაშვილი



პ. ბიჭიანი

თავსა და ბიჭობით!

გადაწყვეტილ, დავწერო რომანი. იკითხ- ადი — სხვა რამე დაწერა ვერა? არა, ერთი რომანი დავაღწეო? რატომ რომა- ნი მაინცდააინი? მინდა, ბატონო, ასე და რა ვინადა თქვენი? სწავი თუ წერენ, ვითომ რა, მე მათზე ნაკლები ვარ? ბოლოთა- ბოლოს, მე ვურნალობს თბილისში მაკეს ჯიშენი. ვითომ, რატომ ვარ უნდა დაწერი- ვილოთუ ან ვითომისტუკე ვუთქ? მით უმეტეს, რომ მწერის სულა ჩემი. პო- და, ასე მინდა რომანი დაწერო, სათა- ვრე უნდა მაკეს უნდა ქალაქი დავაწერო- ქრონიდი, რა მწერისა და, ბოლოს, ურ- თილ დაქვეყნება სათაურად და რომანის სიუჟეტზე. თი რა რომანია, რომ იყოფი, გაეყოფილი. მოვიყვებთ შინაზანს, მავ- რი ნახლი ჭრიადა, ადრეა ვილავა თქვე- განი და მითივსებს ჩემი რომანის სიუ- ჟეტს, მითრე რომ ავარ დაქვეყნების, რა მეწყელება? ამბობ, არც სათაურს გეტუ-

ვილ და არც შინაზანს, ასე ავობებს. კი, მავ- რამ ავბულ სულს და ვინადა, რატომ ვე- დი, სტუდენტობისას, არ დაწერი რომანი? მცობის ასეა ზოგიერთი მწერარა. რა და, სანამ გუწავლობ, ჩინური ავტობიუსი არ მქონდა, როცა ფულად გამიწინა, ავტო- კალბი არ იყო, როცა ვალები გაინდა — ფული არ მქონდა, ვერ ენა და ვერ შევა- ვდრე ერთმანეთს. უბრალო თბილისური ავტობიუსი კი, თუველი იყო, რომ რომა- ნი არ იწერეს, იხილ ისეთი, როგორც მე მაკეს ჩაფურცელი. გინდა ამას, ადრე თავიუფალი დრო არ მქონდა. ოღონდები ხომ უნდა მქონო, მერე კინობი, თარგმნი, და გათავდა დღე მსადავ ძალზე გადატ- ვირთული ვიყავი მაშინ. ვინადა და ასეც ვაბობ — აი, დავიწყებ შეშაობას რომე- ლიზე რედაქციის, კავალიე მწერებს და თავისუფალი დროც უნდად-ოქო. მინი ხომ ნადავლად დაწერება ჩემი რომანი. ეს როგორ? — იკითხავს ვილავა, ვერ გე-



იმუშავებ, თავისუფალი დრო როგორად გე- მნებათ. არაფერი არ იყო, მხო, შენი, ვილავა ხარ, არაფერი არ გინახავს ამ ჰქვეყნაზე, საიდუმლოს გავაბნობ ამა მე: ხანი თვე ვი- ვიკე პრაქტიკაზე ერთი ჩვენი გახვლის რე- დაქვეყნებ, სხელს არ გეტყვით. პოდა, იმ რედაქციის სიუჟეტად დარბოდა და არაინ არაფრის ავტობიუსი, ვინც არ დარბოდა — უფადა თავის მაგალითს თავდაშობილი და ექნა. საშუალო დღე ძალიან ადრე — 12 საათზე იწყებოდა და ძირს ვერ ასწრე- ვდენე სასუქელი სახლი. განსაკუ, რა უნდა ვქნათ, მავრამ, წარმოვიდგინე, რა უნდა მათზე ყოველდღე გამოვლიდა, ვერ გე-

ტყვი, ვისი დამსასურება იყო ეს. პოდა, განსაკუთრებით, მეც რომ შევეყო თავს რე- მელზე რედაქციის, ხომ არ გამიგრძობა მეც თავისუფალი დროის გამოძებნა, არ ვიგრძენ, არ დავიძებნე და რომანს დაწერე სილმე, ვერჯერობით კი დადღივარ საშა- სურის თაბაზე.

11 საათზე ვდებო, ძლივს ვასწრებ ჭე- მას, ჩვენსა, დარბივარ რედაქციებში, მავ- რამ, ემ... არაფერიც არ ჩანს. რა უნებური ვარ, ან ზოის შეყვანი გადგინაში ან ვინმე ზოგორღე ნაშუაზე. ბოლო ხანს ერთი რე- ვა გამოვირევავე აღარ დარბობდი, ვინ- ვარ სახლში და ვურევატ ტელეფონით რე- დაქვეყნებს, ვუყვები, რომ დავამთავრე უნი- ვერსიტეტის ვურნალისტიკის განყოფილე- ბა და ძალიან მინდა მუშაობა, ხომ არა- ფერიც გავთუ შევადგინო-მოთი. ზოგა პირ- დასწრე ყოე ვარს შინაშლის, ზოგი კი ჩემი განხილვით და აღფრთოვანებული, გარა- განს მელაპარაკება. მაგალითად, ერთმა რე-


დაქტორმა მითხრა:—განაჩია ვინა ხარ, გე- ნაცადლე. ნაცონისთვის შეიძლება რამე გეგონებნათო. მერე იხი, სხვათაშორის, მკითხა, გარეგნობით როგორი ხარო, მე ან ფრთად სერიოზულ კითხვას უცებ ვერ გავე- ვი პასუხი, დავიმორცხე და იმან გაბარა შე- ბუღმას დანაზრება ყურნითი სიტყვებით — ამა მაინივები ჩემებზე მეყოფი. რა ვენა ასედა მე, სალთო, მასწავლებლ რაზე, ჩემი თავი ვადადას, მაგრამ თქვენი საყოფაო- ბილი ვიყვი. რა რომანის სიუჟეტი მიუტე- ვდება. ვინ დაწეროთ მაგის მსგავს რამეს? პოდა, იხრჩუბო. ბევრი იქნება თქვენი მო- ვის გადგინაში, იცავით ცოტა ხნით ჩემი მითხრა, თქვენი სიუჟეტი, რომელიც დაწე- ვიდან თორ თვის თავზე ისეთ რომანს გა- მითხრა, რომ ვერ გადგინოთ მითი კი- თხვითი. თქვენი იმედი მაქვს!.. ნატო კიბიანი



ნატო კიბიანი

გამოვიდა თუ არა ეს ახალი იტალიური ფილმი, მე ხალხში არ მიხვალდებოდა. — ახლ ბილეთი? — შევხლბინა ვავე მომეცება თალყო. — მითა, ქალი, სასიყვლოდე მიშ- ვებ? მკაცრა შეხვლდება ხალხი და ვნახო მერე. — ვინ ვნახე შეხვლდებოთ უნდა ვქვანდა მხა! მკაცრად და ხალხს ვწი- ვბა ბილეთები უმინებს. ვადრეობები აჩანს, იტალი სტრია უფოდა. — ვაგინ არ უფლებადვ არ იყვინ დალაგებლბოთ. — ახ, ფეხბილის ბილეთის შოგინ თუ გავაბრებები? — მტკინ არ განვირბებია, ეს ფილ- მი კი ერთი თვე იტყება ცინაგებზე. წერ- ვებს წე მუშაღი. — თუთრე შენი მაგის ფილმის წერებია და მე არა, ხომ? მით, მომშობიარ ავ- ვან, შეუძლებია მაინც რომ მჭიარ არ მკავს და ხალხის შოგინებს ვიშოვნი.

ვლავარ იმე. ვლავარ იმე... ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო... ქუჩაში მტყერი ვაგვიპოლოცო, მაღალიმე, მკველი, სივლის სისწრაფე ღიარ იყო. კარები სი ვიცილდე, ვამოვლიდა არ ვამიყო. რუსტრონიანი შევივარი. — ვევი? სულაც აღარ იყო. — ვილავა იყო, ვილავა იყო; მავრამ არაფერი დამეფილოცო; მიმტკინ სულაც დავიწყებოდა; სიარტელად აღარ იტყინა; ვარე აღარ ვამეფილოცო; თუბრეტთან ჩივი დღეა; ხალხის ტევა აღარ იყო. დამატურეტიც იტყინა ხანდა; ხოტბა-მეხით დამატურეტი... .. ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო. ... ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო. 6. შანაზანმა



საქუებზე ღაბარაკობს, თუმც არ არის საქმის ცაცე. ტელეფონებს ტელეკუ ურებს და მუშაობის ტრის, რევისის საცობით. ხალხი იფლს ღვრის, ის კი ჩემად თანაშრომლობებს აყრის სივლის და საქმე რომ გავაგუბლებ, გაიბახის: „შე რა ვიცი!“ 8. თათბირობი

მიხარია ნიღლი იული დამთავრა ნიღლიას თავი ვინა ვედავოც, ვეროც — აწე რაც მკინა, ვერ იბახს, ან კაცო. არაფრს, კობის და შევარდენს დავიგრავთ ბუღალტერებსა, სისკარბო ვიბეს უნაწრევე, დავცლი ორიმტე ღღარ ბილესა. ვინც დღეს არა მეც აბილეს, ახლ უნდა სივინ ვინახე, ახლ ვეს შევადგინო თავ-პირი და სირაქულა გავლახე. შევარდენე მათს რომ ვეზიბოთ, ვატკონობ მუქე და შევის... შევივინდ მთავად მუქის რეო, ჩიბი უცინობოლად დღეა. პირველ დამბოხობი რომანს ჩაგინა სეა ნედაზე. ჩაგინა შევსწერი იღბლიანი, ჩაგინა შევსწერი ბუღალტერი, იბს, ვევიბინის აბიკო, რას შერევა ღღარ-არაგე. შინა და ძალიან მინდა! — ჩიბი შევინო, არ ბახსოვს, მოყლო აბით რომ და- ბახსოვს. — თი, მახარა, მას შევდებ ახლა არ ბაგოვსოვსო!

შესავალი

თბილისის ვიწრო ქუჩებს არაერთი ფართო გაქანების ადამიანი უნახავს. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ჭრელი დედაქალაქი ყოველთვის იზიდავდა უამრავ მოგზაურს. თბილისი პოეტებისთვის იყო და რჩება ამოუწურავ თემად, მაგრამ, დროთა განმავლობაში, სახეებიც იცვლებიან და სახელებიც. დღეს თბილისი სხვა ჰანგზე მღერის, შრომის შემდეგ სხვაგვარად ისვენებს და სხვანაირად ერთობა:

ყენობა

რუსთაველის ჩაჭადრულ გამზირზე მოხუცი კაცი მიაბიჯებს. მიდის და უკან ერთმწკრივად მისდევს ოცდაათი ახალგაზრდა. შეჩერდება მოხუცი, შეჩერდებიან ჭაბუკებიც. დაიძრება და ისევ მწყობრი ნაბიჯებით გაპყვებიან უკან. ერთ აუწყრელი სანახაობაა. ამის გადმოცემა შეუძლებელია, საკუთარი თვალით უნდა ნახო და განიცადო.

ყენობის ეს ახალი სახე თანდათან პოპულარული ხდება. თბილისში სახედარი აღარ არის, რომ ზედ უკულმა შესვან ვინმე. სახედარი ტროლეიბუსმა შეცვალა და ახლა ტროლეიბუსზე არიან უკულმა შემჯდარნი. ყველაზე დიდი და მრავალხმოვანი ყენობა მაინც სტადიონზე იმართება ხოლმე. დღევანდელი ფეხბურთი, საერთოდ, ძალიან წააგავს ძველებურ ყენობას.

„სტილნი“ ბიჭი

ძველად ერთმანეთისგან ვერ არჩევდნენ კინტოსა და ყარაჩოლელს. ახლა ვერ ასხვავებენ ეგრეთწოდებულ „სტილნი“ ბიჭს და გემოვნებით ჩაცმულ ადამიანს. განსხვავება კი დიდია. „სტილნი“ ბიჭის სმა ხრინწიანია, ბახუსნარევი, გულაყრილი. მისი ლექსიკონი ყველაზე განსწავლულ კინტოსაც კი შემურდებოდა.

— ბიჭო, რა ტობე ვინმე მოდის.
 — თვალები შევბულბულაში გაქვს? ეგ ხომ შენი პინგვინი ნაშაა?!
 — მაშ ის ყანწიანი ქაჯი რალას ასდევნებია, დაქოთაქება ხომ არ უნდა?!
 — კუსოჩნიკ, სვისტოკი გააჩუმე, თორემ თავი აფსაიტში მგონია.

აბანო

წინათ გასათხოვარ ქალს შიგ აბანოში სინჯავდნენ. ახლა გარედან, აბანოს ფანჯრებიდან, ათვალიერებენ. დღევანდელი ჩვენი აბანო იმითაც არის შესანიშნავი, რომ მექისეს ქისის ქვითარს თუ აჩვენებ, ჭუჭყის მაგივრად ღდინს ვაგაძრობს.

მზითევი

ქალი მოდიდან გადის. ვაჟი, ქალის მაგივრად, ახლა სიმამრს ირთავს.

რეისტორანი

— ორთაქალის ბალში მნახე, ვინა ვარ! — მღეროდა შემთვრალი ყარაჩოლელი.
 — სად გეძებო, სად გიპოვო, მოყვარე! — მღერის ახლა შემფოთებული ოფიციაინტი და უიმედოდ დაეძებს ჭაბუკს, რომელიც სიჭაბუკეისავეთ გაუქრა თვალსა და ხელს შუა.

ბრანსპორტი

— ფეხზე იდექი ბაბოჯან, გაიზრდები!

სასწრაფო დახმარება

სინდისი რომ ჰქონდეს, სასწრაფოდ გადაირქმევდა სახელს.

ბელეფონი

ტელეფონის ნომრები ახლა ისეთ ნომრებს ატრიალებენ, ცირკს მაყურებელი მოაკლდა.

სამკითხველო დარბაზი

დღეს სამკითხველო დარბაზები გაჭედილია ხალხით... წვიმიან დღეს.

კინოთეატრი

ძველ თბილისს კინო არ ჰქონდა და არ იცოდნენ სად ეჭამათ მზესუმზირა. ამ მხრივ, ჩვენ ბედნიერები ვართ.

ბოლოთქმა

...მკითხველისთვის მიგვინდვია!



ნ.ხ. გ. ფორჩხინისა

— როგორი კაცი?
 — კრისტალური. არავის არაფერს არ უკეთებს!

ასანდოლო ყრუნი

არაფრად არ ჩაუთვლია ხალხმრავალი ქუჩა, კაბა ისე ჩაუცვამს, რომ რაღა აღარ უჩანს. თუ შეჰკადრე: — არ გიხდება!

შემოგიტევეს ქუშად:

— სხვა თუ ასე დაბრძანდება, ჩემთვის რაღა უშავს?! რას ჩავიცვამ, რას მოვირგებ, შენ ვინ გკითხავს, ნეტავ,


ანდა ჩემი ქვედაწელის მწერას როგორ ბედავ? — დაუკვირდი ქალიშვილო, რად შიშვლდები ძალად. ამდაგვარი კაბა-ქომა არ გიხდება, არა.

მხრებაწვევით შემოგცინებს, ოდნავ გახსნის ტუჩებს: — „ბაღუმეშ“, შეგსისინებს, განა წავა უცებ, აუყვება-დაუყვება ხალხით სავსე ქუჩებს.

მართალს გეტყვით: ეს ამბავი გულს ძლიერ მტკენს, ჰოდა, გოგოებო, გთხოვთ მოეშვათ ამ უმადურ მოლას.

ამელიან კურდიანი

ნ.ხ. გ. ფორმალაშვილი



— რა ამბავია, კაცო, ამდენი ბუნი?!
 — გონი, შაჰრიანი ღვინო შემოგაპარას!



თსკუსუმი ბანი

(იგავ-არაკი)



ნახ. პ. კანდელაკისა

— ახას ხელი არ ახლო, ჩვენი კაცია!

თქვა: „მოუკვდა წუწუნს თავი,
რა ვუყოთ, რომ ვარ უღონო.
ქვეყნად უნდა იყო ავი,
თუკი გინდა, გაგიგონონ!“

და ამხედრდა ერთი ბატი,
უსუსური და შავტვინა.
ვინ ასწავლა იმას ფანდი,
დღემდე ვერვინ დაადგინა.

ჰქონდა აფთრის გამოხედვა,
ხმით ბაძავდა იგი არწივს
და სისინით გველის სისინს
აგონებდა სმენას კაცის.

ძალს ძალურად შეუღრინა,
მოზვერს ფეხი ჩაკრა თავში.
შეუშინდა, ვინაც წინათ
არ აგდებდა სათვალავში.

ბატებს უთხრა: ჩემისთანა
ვინ გყავთ, უნდა ყველგან მაქოთ!
თორემ შავ დღეს გაგიტენებთ
და აგიტეხთ ალიაქოთს.

ჭკვიან რჩევა-დარიგებას
მახვილით და ცვეცლით შეხვდა,
იწვილა და ცხენს შეება,
როს სიმართლელ სურდა ეთქვა...

მონატრა ბატმა ყველას
მოსვენება და სიმშვიდე.
მისგან თავის დასახსნულად
მისთვის თავი გამოიდევს.

იგრძნეს, საქმე ვისთან ჰქონდათ,
უბატონოდ ხმას არ სცემდნენ...
ფრთა შეესხა უტვინოს და
სულ გაგიჟდა ამის შემდეგ.

შეუთვალა ფრინველთ რისხვით:
„მაკურთხეთო პირველ გელად,
გავძლებით მათი სისხლით,
ვინც მე აღარ მომეკედლა.“

სამარედ რომ მიწა გექცეთ,
ნისკარტს დინგად მოვიხმარო!“ —
დაემუქრა დასჯით მხეცებს,
აუჯანყდა მთელ სამყაროს...

იბოგინა დიდხანს? არა!
დაისაჯა თავგასულად.
როგორც საპნის ბუშტი გაქრა —
აი, მისი დასასრული!

3. მისაბიჯილი

საქართველო

- თამადას ჯერ ღვინო ერეოდა, მერე — საღვებრძელოები.
- მწერალი ბუნებრივობასა და მკითხველს ერთად ჰკარგავდა.
- რევიზორმა საწყობი აღწერა და გამგე „ჩამოსწერა“.
- დირექტორს გული მოსდიოდა, მდივანს კი — მისდიოდა.
- შოფერი ჯერ ტიქსს აჯახებდა, მერე — მანქანას.
- ტაქსის შოფერი მრიცხველს აჩერებდა, ავტონისპექტორი — ტაქსს.
- ექიმი ოპერაციასა და ფულს ერთად აკეთებდა.
- სახლგაზრდა ცოლ-ქმრის ქორწინების მიზეზი სიყვარული იყო, განქორწინებისა — საყვარელი.
- მებუფეტე მაგიდაზე ნარჩენ პურს აბრუნებდა, ხურდას კი — არა.


ზ. კაციაშვილი.

საქართველო

ნახ. დ. ბაზუმეიშვილისა



— ხალხს, უკანა ბაჟნიდან ამოდით, სოხ ხელავთ, ვაგონი ცარიელია!
— ჩვენ, ბენაცვალე, წინა ბაჟნიდან ასვლის უფლება გვაქვს!



რედაქტორი ნ. ლუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია,
გ. ნიშინიძე, ნ. შველიძე, თ. პელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, ხაერთა განყოფილება — 3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 17/1-1966 წ. კალ. ზომა 70x103 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კვ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 63 უფ. 01819 ტირაჟი 40000

66-55



ИНДЕКС 76317

— მელაზე აღრა ვარ აღრიცხვაზე აუვანილი,
 ქსელი ჩემით გავაბი, აპარატი ჩემით დავიღვი,
 იმას როგ უბრთებთ, მე რა დავაზავე?
 — თქვენს სანლაგდე არაა კახელი გავვანილი.

